<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი
საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10,01,2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 115-ე მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი. ამასთან, წარდგენილ სიაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, პირველ ხუთ ათეულში კანდიდატს შორის არანაკლებ ყოველი მესამე კანდიდატი წარმოდგენილი უნდა იყოს განსხვავებული სქესის.“.

2. 143-ე მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის სამმაგ ოდენობას. ამასთან, წარდგენილ სიაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, პირველ ორ ათეულში კანდიდატს შორის არანაკლებ ყოველი მესამე კანდიდატი წარმოდგენილი უნდა იყოს განსხვავებული სქესის.“.

3. 158-ე მუხლის მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თბილისის საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების პარტიული სია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 50 და არა უმეტეს 100 კანდიდატისაგან. ამასთან, წარდგენილ სიაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, პირველ სამ ათეულში კანდიდატს შორის არანაკლებ ყოველი მესამე კანდიდატი წარმოდგენილი უნდა იყოს განსხვავებული სქესის.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**